სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 80

2011 წლის 01 დეკემბერი

ქ. თბილისი

ახალგაზრდა მეცნიერთათვის 2012 წელს იუნესკო/კეიზო ობუჩის ერთობლივი კვლევითი სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში საქართველოს სახელით მონაწილე კონკურსანტთა შერჩევის მიზნით სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გასატარებელი ღონისძიებებისა და კომისიის შექმნის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 7 ივლისის №11-2-21/7739 წერილის (ფონდში რეგისტრაციის ნომერი: 3816/02-01, 11.07.2011 წ.) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ,,ახალგაზრდა მეცნიერთათვის 2012 წელს იუნესკო/კეიზო ობუჩის ერთობლივი კვლევითი სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში საქართველოს სახელით მონაწილე კონკურსანტთა შერჩევის მიზნით სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მიერ გასატარებელი ღონისძიებები" ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ახალგაზრდა მეცნიერთათვის 2012 წელს იუნესკო/კეიზო ობუჩის ერთობლივი კვლევითი სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში საქართველოს სახელით მონაწილე კონკურსანტთა შერჩევის მიზნით ფონდის მიერ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის წარსადგენ კანდიდატთა გამოსავლენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კარლო ლაფერაძე - ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ირაკლი ნოსელიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

გ) მაია ქაჯაია - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

დ) თინათინ ბოჭორიშვილი - ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;

ე) ანა ჩიქოვანი - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ვ) ვახტანგ ალანია - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ზ) ვაჟა ლომიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (მ. დათუაშვილს) წინამდებარე ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტისა და თინათინ ბოჭორიშვილისათვის.

5. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური